დისტანციური მუშაობის თავისებურებები პოსტპანდემიურ საქართველოში

სალომე ქურასბედიანი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.“

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე მჭედლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

„ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო კვლევის მეთოდების კურსზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში (იანვარი, 2024).

სალომე ქურასბედიანი, 21/05/2024

აბსტრაქტი

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იცვლება და ვითარდება შრომითი ბაზარი, სამუშაო ადგილის კლასიკური განსაზღვრება შეიცვალა და დღეს, დისტანციური მუშაობა წარმოადგენს დასაქმების მნიშვნელოვან ფორმას. პანდემიამ კიდევ უფრო დააჩქარა სახლიდან მუშაობის პრაქტიკის მიღება და დღემდე აქტუალურია.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია დისტანციური მუშაობის თავისებურებების შესასწავლად და იმ ფაქტორების გამოსავლენად, რომლებიც გავლენას ახდენს პროდუქტიულობაზე, სამუშაო კმაყოფილებაზე, სამუშაო-ცხოვრების ბალანსსა და თანამშრომელთა კეთილდღეობაზე. ნაშრომის მიზანია იმ ადამიანების დამოკიდებულებების შესწავლა, ვისაც ჰქონია სახლიდან მუშაობის გამოცდილება, სთავაზობს რეკომენდაციებს თანამშრომლებსა და ბიზნესებს, რათა გააძლიერონ აღნიშნული ფორმით მუშაობის პრაქტიკა.

კვლევა განიხილავს დისტანციური მუშაობის თავისებურებებს, პოსტპანემიურ საქართველოში, იკვლევს მის გამოწვევებს, შესაძლებლობებსა და სტრატეგიებს, რომელიც გამოიყენება სახლიდან მუშაობის გამოცდილების გასაძლიერებლად. სამუშაოს შესრულების ეს ფორმა დაკავშირებულია უამრავ უპირტესობასა და ნაკლოვანებასთან, იგი თანამშრომლებს საშუალებას აძლევს შეასრულოს საქმიანობა ნებისმიერი ადგილიდან, დაზოგოს მგზავრობის დრო და ფინანსები, თუმცა ამავდროულად, თანამშრომლები განიცდიან სოციალური ურთიერთობების დეფიციტს და რთულდება სამუშაო-პირად ცხოვრებას შორის ბალანსის დაცვა. დამსაქმებლისთვის კი დისტანციური მუშაობა გარანტიაა მუშაობის უწყვეტად გაგრძელების, ნებისმიერ სიტუაციაში.

ნაშრომში გამოყენებულია შერეული კვლევის მეთოდი, როგორც რაოდენობრივი, რომელიც მოგვცემს რიცხვითი მონაცემის შეგროვების შესაძლებლობას და ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის თუ რა დამოკიდებულებაა შრომით ბაზარზე სახლიდან

მუშაობის მიმართ, აგრეთვე თვისებრივი, რომელიც საშუალებას იძლევა მეტად სიღრმისეულად შევისწავლოთ დასაქმებულების განწყობა და ემოციები.

დასკვნები მიუთითებს, იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის აღნიშნული ფორმა მნიშნელოვან უპირატესობებს გვთავაზობს, როგორიცაა გაზრდილი მოქნილობა, ავტონომია, გაუმჯობესებული სამუშაო-ცხოვრების ბალანსი, ის აგრეთვე წარმოადგენს გამოწვევებს, რაც დაკავშირებულია სოციალურ იზოლაციასთან, კომუნიკაციის ბარიერებთან და უსაფრთხოების რისკებთან. სახლიდან მუშაობის ეფექტური პოლიტიკა, კომუნიკაციის სტრატეგიები და ძლიერი ორგანიზაციული მხარდაჭერა გადამწყვეტია დისტანციური მუშაობის სარგებლის მაქსიმალურად გაზრდისთვის.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური მუშაობა, შრომითი კმაყოფილება, სამუშაო-ცხოვრების ბალანსი, პროდუქტიულობა, დისტანციური მუშაობის გამოწვევები.

Abstract

Along with the development of technologies, the labor market changes and develops, the classic definition of the workplace has changed, and today, remote work is an important form of employment. The pandemic further accelerated the adoption of remote work and is still relevant today.

The master's thesis is presented to study the features of remote work and identify the factors that affect productivity, job satisfaction, work-life balance and employee well-being. The purpose of the paper is to explore the attitudes of people who have had experience working remotely, offering recommendations to employees and businesses to strengthen remote working practices.

The study examines the peculiarities of telecommuting in post-Panemic Georgia, and explores its challenges, opportunities, and strategies used to enhance the telecommuting experience. Remote work is associated with many advantages and disadvantages, it allows employees to perform activities from anywhere, save travel time and money. at the same time employees experience a deficit of social relations then it becomes difficult to maintain a balance between work and personal life. For the employer, remote work is a guarantee of uninterrupted work, in any situation.

The paper uses a mixed research method, as a quantitative one, which will allow us to collect numerical data and give us a general idea of the attitude of the labor market towards remote work, as well as a qualitative one, which allowed us to study in depth the emotions of people working remotely.

The findings indicate that while telecommuting offers significant benefits such as increased flexibility, autonomy, and improved work-life balance, it also presents challenges related to social isolation, communication barriers and security risks. Effective telecommuting policies, communication strategies, and strong organizational support are critical to maximizing the benefits of telecommuting.

Keywords: telecommuting, job satisfaction, work-life balance, productivity, telecommuting challenges.